საჯარო სამართლის იურიდიული პირი –
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

# ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბრძანება

N 24/02-06
01/03/2021

24-02-06-4-202103011114

სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის მთავარი მეცნიერი თანამშრომლის ბაჩუკი მესაბლიშვილის არაბთა გაერთიანებულ საემიროებში (ქალაქი ალ-აინი) მივლინებისა და შრომითი ხელშეკრულების პირობების შეცვლის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,საქართველოს შრომის კოდექსის" 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-4 პუნქტების, ,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 23-ე მუხლის პირველი პუნქტის და 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ზ" ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის № 135/ნ ბრძანებით სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მე-15 მუხლის პირველი პუნქტის, მე-16 მუხლის პირველი პუნქტის ,,ნ'' და ,,პ" ქვეპუნქტების, ამავე მუხლის მე-2 პუნქტის, "სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის"თანამშრომელთა საზღვარგარეთ მივლინების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ" თსუ რექტორისა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2015 წლის 19 მარტის 12/04 ერთობლივი ბრძანების მე-13 და მე-14 პუნქტების, თსუ ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის დირექტორის, მთავარი მეცნიერი თანამშრომლის ნინო ფარცვანიას 2021 წლის 24 თებერვლის №2823/10 განცხადების (თან ახლავს პირადი განცხადება) საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ებ:

1. მივლინებულ იქნეს, 2021 წლის პირველი მარტიდან 2020 წლის პირველ სექტემბრამდე არაბთა გაერთიანებული საემიროების ქალაქ ალ-აინში, გაერთიანებული საემიროების უნივერსიტეტში (UAE University) სამეცნიერო პროექტის ფარგლებში სამუშაო ვიზიტით, სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის მთავარი მეცნიერი თანამშრომელი ბაჩუკი მესაბლიშვილი, მივლინების ხარჯების ანაზღაურების გარეშე;
2. შეუჩერდეს შრომის ანაზღაურება 2021 წლის 15 აპრილიდან 2021 წლის პირველ სექტემბრამდე, სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო

უნივერსიტეტის ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის მთავარ მეცნიერ თანამშრომელს ბაჩუკი მესაბლიშვილს;

3. დაევალოს ბაჩუკი მესაბლიშვილს წარუდგინოს მოხსენებითი ბარათი და მივლინების ანგარიში უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, ინსტიტუტს და საფინანსო დეპარტამენტს მივლინებიდან დაბრუნებისთანავე;
4. წინამდებარე ბრძანება კანონმდებლობით დადგენილი წესით გადაეცეს დაინტერესებულ პირებს და შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს (საფინანსო დეპარტამენტი, პერსონალის მართვის დეპარტამენტი, ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტი, შიდა აუდიტის სამსახური);
5. ბრძანება ძალაშია გამოცემისთანავე.

ლაშა საღინაძე



ადმინისტრაციის ხელმძღვანელი